

“Georgia e-Health” აპლიკაციის გამოყენების პირობები

1. აპლიკაციის მიმოხილვა

აპლიკაციის გამოყენების პირობები მის მომხმარებელს აწვდის უახლეს ინფორმაციას იმ წესების შესახებ, რომლებსაც იგი უნდა იცავდეს, იმისათვის რომ ისარგებლოს “Georgia e-Health” აპლიკაციით.

2. პასუხისმგებლობა

აპლიკაცია შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში - დეველოპერი) მიერ.

აპლიკაციის შემუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის № 164 განკარგულება “საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ” და 2021 წლის 28 ოქტომბერს მასში შეტანილი ცვლილება.

განკარგულება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4821121?publication=91>;

ცვლილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5275367?publication=0>

განკარგულება წარმოადგენს საქართველოში კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების შექმნის ძირითად ინსტრუმენტს. 2021 წლის 28 იანვრის N165 განკარგულებაში შეტანილი N1904 ცვლილება ავალდებულებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ „ინფორმაციულ ტექნოლოგიების სააგენტოს“ (ზემოაღნიშნული აპლიკაციის შემქმნელი), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობასა და საერთაშორისოდ თავსებადი ელექტრონული ინსტრუმენტების შექმნის უზრუნველყოფას, პირის იდენტიფიკაციისა და მისი კოვიდ სტატუსის გადამოწმებისთვის, საერთაშორისო მოგზაურობის მიზნებისთვის.

აპლიკაციის ფუნქციონალი გაფართოებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. მინისტრის 2021 წლის 19 მაისის №01-48/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ

ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს დებულებით, სააგენტო უფლებამოსილია შეიმუშაოს და განაახლოს ახალი აპლიკაცია.

3. ანგარიშვალდებულება

აპლიკაცია მომართულია მის მომხმარებლებს მისცეს შესაძლებლობა უსაფრთხოდ შეინახონ და გამოიყენონ მათი ინფორმაცია, გამოიხმონ საჭირო მონაცემები და გამოყენებისთვის გამოსახონ ეკრანზე შესაბამის ელექტრონულ ფორმატში.

აპლიკაციაზე წვდომით მომხმარებელი ადასტურებს, რომ იგი იაზრებს და ეთანხმება შემდეგ პირობებს და სამართლებრივ ინფორმაციას, რომელიც მჭიდრო კავშირშია აპლიკაციასთან, მათ შორის იმ ინფორმაციას, რომელსაც ის წარმოადგენს აპლიკაციის გამოყენებისათვის. მომხმარებელი, რომელიც არ ეთანხმება მოცემულ პირობებს თავი უნდა შეიკავოს აპლიკაციის გამოყენებისგან.

4. ნებართვები

აპლიკაცია არ იყენებს ადგილმდებარეობის ან გეოლოკაციის მიკვლევის ინსტრუმენტს.

აპლიკაცია არ ითხოვს წვდომას მოწყობილობის კამერაზე ან მიკროფონზე.

5. მომხმარებლის ვალდებულებები

მომხმარებელი პასუხისმგებელია იქონიოს აპლიკაციაზე წვდომისთვის საჭირო სიხშირე, კავშირი და მოწყობილობის ფუნქციონალი.

აპლიკაციის მეშვეობით მომხმარებელი უფლებამოსილია მართოს მხოლოდ საკუთარი ან არასრულწლოვანი შვილების პერსონალური ინფორმაცია.

მომხმარებელი ვალდებულია გამოიჩინოს სიფრთხილე მის მოწყობილობებზე უკანონო წვდომის თავიდან ასარიდებლად.

მომხმარებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება აპლიკაციის განახლების საკითხს.

მომხმარებელი პასუხისმგებელია აპლიკაციაში მის მიერ შეყვანილი ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აპლიკაციის გამოყენების დროს მომხმარებელმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა დაიცვას მოქმედი სამართლებრივი დებულებები და გამოყენების პირობები.

6. უფლებები

დეველოპერი ინარჩუნებს უფლებებს, ნებისმიერ დროს, შეცვალოს ან წაშალოს, ნაწილი ან სრული ინფორმაცია და შინაარსი, ან დროებით არ გამოაქვეყნოს ის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

რამდენადაც ეს ნებადართულია მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზისებით, ნებისმიერი პასუხისმგებლობის მოთხოვნა დეველოპერის მიმართ მის მიერ მატერიალური ან არამატერიალური ზიანის მიყენების გამო, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას აპლიკაციაზე და მასში განთავსებულ ინფორმაციაზე, შინაარსსა და შეტყობინებაზე წვდომით ან წვდომის არქონით, გამოირიცხება და ითვლება ბათილად.

დეველოპერი არ იღებს პასუხისმგებლობას ან არ იძლევა გარანტიას აპლიკაციისა და მისი შინაარსის უწყვეტ ფუნქციონირებასა და ხელმისაწვდომობაზე. ასევე იგი არ იღებს პასუხისმგებლობას ან არ იძლევა გარანტიას, რომ აპლიკაცია თავისუფალი იქნება ყოველგვარი შეცდომებისა ან/და გაუმართაობისგან.

დეველოპერს, ნებისმიერ დროს, შეუძლია შეაჩეროს ან შეწყვიტოს აპლიკაციის გამოყენება.

7. მონაცემთა მართვა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ყველა პირი უფლებამოსილია შეინახოს ინდივიდუალური პირადი ინფორმაცია და იქნას დაცული ამ პირადი ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისგან.

დეველოპერი თანამშრომლობს ყველა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურასთან, რათა უზრუნველყოს მონაცემების დაცვა არაავტორიზებული წვდომისგან, დაკარგვისგან, ბოროტად გამოყენებისგან ან ცვლილებისგან.

აპლიკაციის პირადი ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა შემდგომში ასახავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს.

დეველოპერი უზრუნველყოფს დებულებებთან შესაბამისობას და პერსონალური მონაცემები მიჩნეულია, მკაცრად კონფიდენციალურად.

8. აპლიკაციის გამოყენების შეჩერება ან დასრულება

მოწყობილობაზე აპლიკაციის წაშლით ან დეინსტალაციით, მომხმარებელს შეუძლია მუდმივად ან დროებით შეწყვიტოს აპლიკაციის გამოყენება.

შესაბამის უფლებამოსილ პირებს, გარკვეულ გარემოებებში, შეუძლიათ შესთავაზონ მომხმარებლებს აპლიკაციის წაშლა.

9. საავტორო უფლებები
ყველა უფლება დაცულია.

აპლიკაცია განკუთვნილია მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის. აკრძალულია შინაარსის ნებისმიერი შემდგომი რეპროდუცირება და მესამე მხარეებისთვის გადაცემა.

აპლიკაცია ეკუთვნის საქართველოს მთავრობას, რომელიც წარმოდგენილია დეველოპერის სახით.

ნებისმიერი კომპონენტის რეპროდუცირება საჭიროებს წინასწარ წერილობით თანხმობას საავტორო უფლების მფლობელისაგან.

შინაარსის, ილუსტრაციების, ფოტოების ან ნებისმიერი სხვა მონაცემის ჩამოტვირთვა ან მათი ასლის დამზადება, არ იწვევს შინაარსთან დაკავშირებული უფლებების გადაცემას.

10. დასკვნითი დებულებები
დავების გადაჭრის ექსკლუზიური უფლება განეკუთვნება საქართველოს საერთო სასამართლოების იურისდიქციას. დავების გადაჭრისას გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა, თუ განსხვავებული წესი არ იქნა დადგენილი.

მომხმარებელი იქნება ინფორმირებული აპლიკაციის გამოყენების წესებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

დებულებები წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.

მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მოგვმართოთ ელექტრონულ მისამართზე: appsupport@ita.gov.ge